

ცისია კილაძე

თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია

რამდენიმე საკითხი შირ-მღვიმის მონასტრის “ჯვართამაღლების” ეკლესიის მხატვრობის სტილის შესახებ

შიო-მღვიმის მონასტრის “ჯვართამაღლების” სახელობის მცირე, დარბაზული ტაძრის მხატვრობა მკვლევართა მიერ ზოგადად XII-XIII საუკუნეთა მიჯნითად დათარიღებული. ეკლესიის შესახებ ისტორიული ცნობების უქონლობის გამო, ძირითადი მათარიღებული მისი სტილი და საერთო მხატვრული სახეა, რომელიც მკაფიო ინდივიდუალურობასთან ერთად გარკვეული „ორმაგობითა“ და „სიჭრელით“ გამოირჩევა, რამდენადმე არაერთმნიშვნელოვან, ხშირად ურთიერთსაპირისპირ ნიშან-თვისებებს შეიცავს და თვალსაჩინო მაგალითია იმ ფორმალური თუ შინაგანი ცვლილებებისა, რომლებიც ქართული მხატვრობის ისტორიაში უკვე XII საუკუნის შუა ხანებიდან იჩენს თავს და უფრო მოგვიანო ხანის ძეგლებში, თუნდაც შიო-მღვიმეში, ძალზე განვითარებულ-გაზვიადებულ სახეს იძენს.

XIII საუკუნის დასაწყისი, როგორც ცნობილია, ემოციური და ფსიქოლოგიური ასპექტების მძლავრი მატებით აღინიშნება ხელოვნებაში და ახალ, მანამდე არარსებულ თემებსა და გამომსახველობით ხერხებს წარმოშობს; ადრეული და მაღალი შუა საუკუნეების ეპოქისათვის დამახასიათებელ ფორმათა ხედვის ერთიანობის პრინ-

ციპი ამ საუკუნეში აზრთა სხვადასხვაობითა და “ბაროკულობით“ იცვლება, რაც არა მხოლოდ თეოლოგიურ თუ თემატიკურ ასპექტთა ტემადღებასა და მათ ნაირგვარ დაპირისპირება-მიმართებაში, არამედ ფორმათა ხასიათშიც მკაფიოდაა გამოხატული.

ჩვენ ამ შემოხვევაში, ძირითადად, შიო-მღვიმის მხატვრობის სტილის გარკვეულ ეპოქალურ თუ ინდივიდუალურ თავისებურებებს შევეხებით, თუმცა თავდაპირელად აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ იყონოგრაფიული პროგრამის ზოგადი მხატვრულ-იდეური სახის შესახებ. პროგრამა, ისევე როგორც ფერწერული ანსამბლის საერთო სქემა თუ ცალკეული გამოსახულებანი და ფორმები, კონტრასტულ-დინამიკურ, ე.წ. „ცხოველხატულ“ პრინციპება აგებული. ეპოქალური ნიშანია ის, რომ საუფლო დღესასწაულთა სრული ციკლის გარდა მოხატულობა, ასე ვთქვათ, „ჩადგმული ნახევარებებისტრებით“, მკერდამდე გამოსახულ წმინდანთა თუ ბერ-მონაზონთა განმარტოებული ფიგურებით ან მათი გალერეა-რიგებითაა გადატვირთულ-დაქუცმაცებული, რომელთა მნიშვნელობა კომპოზიციური თუ შინაარსობრივი თვალსაზრისით თითქმის უტოლდება მრავალფიგურიან, კანონიკურ სცენებს, ფრესკების ერთგვარ „იკონურობას“ განაპირობებს და მხატვრობის სამონასტრო ხასიათზე მიანიშნებს.

მიუხედავად იმისა, რომ მოხატულობის დიდი ნაწილი მხოლოდ გაურკვეველ, წყვეტილ ფრაგმენტებადაა შემორჩენილი, მისი ძირითადი სქემა მაინც იკითხება და იგი XII-XIII საუკუნეთა მიჯნის დარბაზული ეკლესიებისათვის ტიპიურია (კალაუნის წმ. გიორგი, ფავნისი, ოწინდალე, ზენობანი).

დარბაზულ სივრცეში ფართოდ გაშლილი საერთხეველი სამ რეგისტრადაა დაყოფილი: კონქში – ვედრება, მის ქვემოთ მკერდამდე გამოსახულ მოციქულთა ლიტურგიკული სერია, ბოლოს კი ეკლესიის მამათა პროცესია, წმინდა მამები „ხელთუქმნელი ხატის“ გამოსახულებას სცემებს თაყვანს. ისტორიული თანმიმდევრობით დაჯგუფებული ათორმეტ დღესასწაულთა ციკლის სცენები წრიული მოძრაობის თანახმად, ზენობანი.



1. წმ. პეტრე. შიო-მღვიმის „ჯვართამაღლების“ ეკლესიის მოხატულობა. XIII ს-ის შუა ხანა.

მოდან ქვემოთ იშლება დარბაზის სივრცეში. ზედა, კამარის ზონაში საუფლო დღესასწაულები უწყვეტ ფრიზად გასდევს ტაძრის სამივე პედელს, იწყება სამხრეთ-აღმოსავლეთის კუთხიდან – „ხარება“, „შობა“, „მირქმა“. ციკლს დასავლეთის კედელზე „ნათლისდება“ და „ფერისცვალება“ აგრძელებს, კამარის ჩრდილოეთ ფერდზე კი „ლაზარეს აღდგინება“, „იერუსალიმად შესვლა“ და „ჯვარცმა“ სცელის. შემდეგ თხრობა სამხრეთის კედლის ქვედა ზონაში გრძელდება, სადაც, ტაძარში ამჟამინდელი შესასვლელის პირისპირ „ჯოჯოხეთის წარმოტყველის“ შედარებით მასშტაბური სცენაა წარმოდგენილი, გვერდზე ასევე დიდი ზომის წმ. სვიმეონ მესვეტის ფიგურით. რიგით მომდევნო დღესასწაულნი „ამაღლება“ და „სულიშმინდის მოფენა“ კი დასავლეთის კედლის ქვედა ზონაშია გამოსახული. როგორც ჩანს, თხრობა ლოგიკურად უნდა დასრულებულიყო მიძინების სცენით ჩრდილოეთის კედელზე, რომელიც დღეს საერთოდ აღარ შემორჩა. კამარის კებში ორნამენტის ფართო ზოლია, ცენტრში მედალიონში ჩაწერილი ჯვრის გამოსახულებით. ფრონტალური, მკერდამდე გამოსახული ფიგურები შემორჩენილია სამხრეთის კედლის აღმოსავლეთ კუთხესთან – სამი წმინდანი; დასავლეთის კედელზე, სარქმლის ქვემოთ – ოდიგიტრია, რომელიც დღესდღეობით თითქმის საერთოდ აღარ ჩანს; დასავლეთის კედლის ქვედა, ჩრდილოეთ კუთხეში შესასვლელ კართან – წმ. გიორგი და წმ. თევდორე და იქვე ჩრდილოეთის კედელზე კიდევ ერთი წმინდანის ანალოგიური გამოსახულება. სამხრეთის კედლის სარკმლის ქვემოთაც რომელიმე წმინდანი უნდა ყოფილიყო. აქვე, საკურთხევლის ახლოს ქტიორის ფიგურაა, ხოლო ჩრდილოეთის კედელზე, კამარის სცენათა ქვემოთ, წმინდანთა ნახევარფიგურების რიგია სავარაუდო, რომელთა მკრთალი მონასაზები მხოლოდ დიდი ხნის დაკვირვების შედეგად გაირჩევა.

წმინდანთა ეს „პორტრეტები“ გარეშეული კანონზომიერების მიხედვით ნაწილდება სივრცეში და ფრონტალურობისა და სიხშირის ხარჯზე რამდენადმე აფერხებს თხრობის უწყვეტობასა და დინამიკას, მის ხალიჩისებურ დინებას და „ხატისებურ“, თითქმის „კამერულ“ იერს სძენს მოხატულობის პროგრამას, რადგან ხატების ასოციაციას იწვევს და, შესაძლოა, მართლაც უძრავი, კედლის ხატების ფუნქციას ასრულებდა ეკლესის ლიტურგიკულ სივრცეში. შიო-მღვიმის ფრესკათა მხოლოდ საერთო აღწერაც კი ცხადყოფს მოხატულობის რამდენად ტევად, თითქმის ჯვარგუმბათოვან ტაძართა ფერწერული ანსამბლებისათვის ჩვეულ, სრულ პროგრამას მოიცავდა ტაძრის ეს მარტივი სივრცე.

მცირე ზომის ინტერიერში ამგვარი თემატუ-



2. წმ. იოანე ოქროპირი. შიო-მღვიმის „ჯვართამაღლების“ ეკლესის მოხატულობა. XIII ს-ის შუა ხანა.

რი დატგირთულობა, გამოსახულებათა სიჭარებე და განსხვავებული მასშტაბების კონტრასტები, ერთგვარი „horror vacui“, კედლის ბოლომდე, დაუზოგად გამოყენების სურვილი და მისი ტექტონიკისა და სიმეტრიის რდვევა, რეგისტრების არეული, ერთმანეთს აცდებილი, რამდენადმე ექსპრესიული რიტმი დინამიკურსა და მოუსვენარ, „მოუხელთებელ“ ხასიათს ქმნის და ტაძარში შესული მნახელის აღქმის პროცესი ძალზე მოძრავი და დინამიკურია. მნახელის მზერა სრიალებს და „ხტის“ ერთი კედლიდან მეორეზე, ზედა რეგისტრებიდან ქვედაზე და ამ „მხტუნავი“ აღქმის გარევეულ კანონზომიერებასთან ერთად, იქნება ისტორიული ციკლის ეს მთლიანობა თუ მის პარალელურად მეცნიერებული შერჩევით დაჯგუფებულ თუ ურთიერთდაპირისპირებულ სცენათა გამოყოფა-აქცენტირება, მოხატულობის პროგრამა წაკითხვის ნაირგვარ შესაძლებლობას იძლევა.

წაკითხვადობის ეს მრავალწახნაგონება, ე.წ. „კლასიკური“ ძეგლების ერთმნიშვნელოვანი და აბსოლუტური სიცხადისაგან განსხვავებით, უფრო მეტადაა ინდივიდზე თრიენტირებული ანუ გარევეულწილად სუბიექტივისტურ საწყისს შეიცავს.

ამ „ახალი“ დინამიკური სტილის ეპოქაში თვით მანძილის განცდა გამოსახულებასა და მდოცველს შორის, აღქმისა და მოხილვის ტემ-



3. უცნობი წმინდანი. ნოვოროდის არქაჟის ეკლესიის მოხატულობა. 1189 წ.

პიც შეიცვალა. მაგალითად, დროის ერთ-ერთი ყველაზე დამახასიათებელი იკონოგრაფიული თავისებურებაა – საკურთხევლში ეკლესიის მამათა ფრონტალური ფიგურების ლიტურგიკულ პროცესიად გარდასახვა ანუ „მსხვერპლის თაჭვანისცემის“ კომპოზიცია, რომელიც, როგორც არა ერთხელ აღნიშნულა,¹ ტაძარში რეალურად მიმდინარე დვითისმსახურების დასაბამად აღიქმება. საზღვარი რეალურსა და წარმოსახვით სივრცეს შორის თითქოს საგანგებოდაა წაშლილი, რათა მლოცველმა გამოსახულ წმინდანებთან საერთო სივრცეში, მათ ლიტურგიკულ რეალობაში განიცადოს თავი. უშუალო საკულტო კონტაქტის შთაბეჭდილებას შიომ-მღვიმეში ხატისგბური ფიგურები, მათი ფრონტალურობაც ამძაფრებს, მაგრამ ეს გამოსახულებანი ყოფით, ყოველდღიურ სივრცეში კი არ გადმოდიან, არამედ მნახველი თავის მისტიკურ სივრცეში გადაძყვავთ, ისე, რომ იგი ესთეტიკურ, გამმიჯნავ საზღვარს ვედარ აღიქვამს.²

იგივე შეიძლება ითქას „ჯოჯოხეთის წარმოტყვევნის“ მასშტაბური კომპოზიციის შესახებ, რომელიც მნიშვნელოვნად განსაზღვრავს მნახველის თავდაპირველ შთაბეჭდილებას, რადგან შესვლისთანავე იგი მზერას პირისპირ ეგებება, მუქი ფონიდან ამოტივტივებული მაცხოვრის მოზრდილი ნათელი ფიგურა, როგორც სინათლე წყვდიადში, სიკვდილზე ტრიუმფისა და ხსნის

ხილულ ხატად, „დდესასწაულთა დდესასწაულად“ წარმოუდგება მლოცველს. იკონოგრაფიული ვერსიაც ე.წ. „ამოყვანის“ და არა „ჯოჯოხეთში ჩასვლის“ ტიპს გამოსახავს, რომელიც სწორედ XII-XIII საუკუნეებიდან გავრცელდა ხელოვნებაში და განსაკუთრებული სიმბაფრით მოძრაობის, მოქმედების, ხსნის მომენტს წარმოაჩენს ანუ კვლავ დინამიკურობისაკენ სწრაფვას ამჟღაენებს.

ამგვარი, ეპოქისათვის სახასიათო ემოციურ-დინამიკური საწყისის მატება, ძალზედ თვალსაჩინოა შიომ-მღვიმის მსატვრობაში, მაგრამ თვით მსატვრის ინდივიდუალური მსოფლშეგრძნება და ფორმათშეგრძნებაც მყაფიოდაა საგრძნობი და ზოგიერთ ასკექტში სწორედ ეპოქისეული ეს-თეტიკის საწინააღმდეგო ელფერს იძენს; მაგალითად, შიომ-მღვიმის მონასტრის ეკლესიის მსატვარი თითქოს სწორედ ეპოქალურ ემოციურობასა და არტისტულობას გაურბის და ცდილობს უკიდურესად მოკრძალებული გამომსახველობით საშუალებებით შემოიფარგლოს. იგი თითქოს საგანგებოდ უარყოფს ფორმათა ალასტიკურობასა და სისავსეს, სინათლისა და ფერთა მდიდრულ უფერებებს, რასაც ამ საუკუნის სხვა მსატვრები ეძიებენ. იგი ხაზოგნ-კონტრასტულ უფერებებზე აგებს მთელ მსატვრობას და ცალკეულ ფორმებსაც; მისი პალიტრაც საკმაოდ შეხდულები და თაგზეაგებულია, ძირითადად თბილი კოლორიტი მხოლოდ რამდენიმე ფერით შემოიფარგლება: მომწვანო-ოქრა, თეთრი, მოყაფისფრო-აგურისფერი, მოლურჯო შავი და მხოლოდ ალაგ-ალაგ მცირე ფირუზისფერი ლაქები. თუმცა ეს თავშეკავებულობა, რა თქმა უნდა, არ გამორიცხავს კოლორიტის სიმდიდრესა და გამომსახველობას. უბრალოდ, XII საუკუნის შუა ხანებიდან ქართულ მონუმენტურ ფერწერაში არსებული მიდრეკილება ფერთა გაცივებისაკენ შიომ-მღვიმეში არ გამომჟღავნდა. ყურადღებას იქცევს ინტენსივური ცისფრის (ლაუვარდის), წითლის, ყვითლისა და მწვანე ფერის უარყოფა, რომლებიც დომინირებს XII-XIII საუკუნეთა მიჯნის მაღალმხატვრული დონის ძეგლებში (ყინწვისი, ბეთანია). ამჟამად მსატვრობა აღიქმება, ძირითადად, აგურისფერი და თეთრი ლაქების რიტულ მონაცემებიდან მუქ ფონზე (კარგადაა შემორჩენილი თეთრი და აგურისფერი შარავანდების ლაქები საკურთხეველში). კოლორიტული გამომსახველობის ძირითადი გამაძლიერებელი აქ ფერთა მრავალხმიანობა, ინტენსივობა და ჟღერადობა, ტონალურ გრადაციათა სიმდიდრე კი არ არის, არამედ კონტრასტულ ლაქათა და კორატიული დაპირისპირება.

როგორც ცნობილია, ამგვარი მიდრეკილება ფერთა რაოდენობის შეზღუდვისა და თავშეკავებულობისაკენ უფრო პროვინციული სკოლის

მხატვრობებისთვისაა დამახასიათებელი. მაგრამ შოთ-მდგიმის მხატვრობას ერთმნიშვნელოვნად პროვინციულს ვერ ვეწოდებთ, როგორც ჩანს, მისი შეზღუდული პალიტრაც უფრო მეტად სამონასტრო-ასეულ სულისკვეთებას უნდა მივაწუროთ ანუ გარეგნული, თვალისმომჰკრელი, მდიდრული ეფექტებისაგან გააზრებულ თაქშეკავებასა და განძგომილებას, ვიდრე პროვინციულობას. ფორმისა თუ ფერისადმი თავისებური დამოკიდებულება უფრო ცხადი გახდება თუ შოთ-მდგიმეს ბეთანია-ყინწვისის ჯგუფის ძეგლებს შევადარებთ. მაგალითად, ყინწვისში ფიგურა და ფონი ერთი სივრცული მთლიანობაა, ლაუგარდის ფონი თითქოს სინათლესა და სიდრმეს შეიცავს, მოუსახლევრავ, მოლივლივე სივრცედ აღიქმება და არა გლუვ ჩამქებ სიბრტყედ, როგორც ეს შოთ-მდგიმეშია, და თვით პედლის სიბრტყის განფენა-გასივრცების ილუზიას იწვევს, რითიც ფორმათა მოუხელთებლების, გამჭვირვალების შთაბეჭდილებაა მიღწეული. გამოსახულებათა კონტურები ერწყმის და რბილად გადაედინება ფონის სიღრმეში, განსხვავებით შოთ-მდგიმისაგან, სადაც მკაფიო, ზოგჯერ ხისტი ნახატი, ბასრი, თვალშისაცემი ამონათებები კონტრასტულ-აპლასტიკურ ფორმებს ქმნის. ყინწვისისებული „ხსნილი“ ფორმისაგან განსხვავებით, შოთ-მდგიმელი მხატვარი მკვეთრად ზღვარდადებული, „ჩაკეტილ“, ორგანზომილებიან სიბრტყებს ქმნის. მას თითქოს ჩარჩო და ზღუდე სჭირდება, ფიგურათა სახეები და სამოსის ნაკეცები მკაფიო მონასმებითაა ამოუგანილი ბრელი ფონიდან, თუმცა ეს სინათლის „ბლიკები“ ბრტყელ, ბასრ მონასმებად რჩება და არ არღვევს გამოსახულების სიბრტყობრიობას. შოთ-მდგიმელი მხატვრისათვის ფონი მხოლოდ კედლის ზედაპირი და ფიგურებისათვის უკანა პლანია, გლუვი სიბრტყეა, რომელზეც გამოსახულებანი თითქმის აპლიკაციასავით იდება და თუ ყინწვისში კედლი „სუნთქავს“ და სიღრმის ილუზიას ქმნის, შოთ-მდგიმეში იგი კარგავს გამომსახველობასა და მნიშვნელოვნებას, რადგან ფონის მუქი და ხისტი ფაქტურა თითქმის ყრუ სიგლუვით ახშობს მას.³ თუმცა, ამავე დროს, თამარ მეფის ეპოქის ძეგლებისათვის დამახასიათებელი კედლის პლასტიკურობისადმი, ფერწერული ანსამბლის შეკვრა-გამთლიანებისაკენ მიღრეკილება ანუ გამოსახულებათა ერთი კედლიდან მეორეზე გადაედნა-გაგრძელების ტენდენცია შოთ-მდგიმეშიც იჩენს თავს, მაგრამ აქ თითქოს მექანიკურ, ნასწავლ და ბოლომდე გაუთავისებელ ხერხად რჩება. შოთ-მდგიმელი მხატვარი მხოლოდ აქა-იქ, მცირე „გადანაკეცების“ სარჯზე ცდილობს შეკრას ფერწერული ანსამბლი.⁴ მირითადად კი ის კედლის სიბრტყეებს წევეტილ, დამოუკიდებელ მონაკვეთებად ანაწევრებს, რომლებიც თითქოს აგრძელებენ ერ-



4. უცნობი ეკლესიის მამა. ნერგზის წმ. აანტელეიმონის ეკლესია. 1164 წ.

თმანეთს და ჯერ აიღვ სუსტი მაკავშირებელნი არიან კედლებისა. უეჭველია, იგი იცნობს კედლის ერთიანად მოაზრების, სცენათა და ფიგურათა მიმართულებების თუ მონახაზების საერთო რიტმად გამთლიანების ისეთ შესანიშნავ ნიმუშებს, როგორიცაა ყინწვისის, ბეთანიის, ტიმოფეუბის ანსამბლები, მაგრამ მხატვრული ხისტემის აგებისას არა გამთლიანების, არამედ ცალკეულ კადრებად დატეხვა-დაქუცმაცების პრინციპს ირჩევს; კედლის შინაგანი სტრუქტურიდან კი არ გამოდის, არამედ დარბაზული სივრცის მარტივ და სადა არქიტექტონიკას ეწინააღმდეგება. ხოლო მისი მისწავლება თავისუფლად მოარგოს კომპოზიციები კედლის არეებს ზოგჯერ მხოლოდ სურვილად რჩება.⁵ საერთოდ, იერატიულ და თხრობით სცენათა კომპოზიციური თუ შინაარსობრივი შეპირისპირება-გათანაბრებაც უკვე პროგრამის დაწვრილმანებისა და ეპოქისათვის დამახასიათებელი მონუმენტურობის რდევასა და ერთგვარი მინიატურულობის შთაბეჭდილებასაც განსაზღვრავს.

მხატვრობის სქემის ამგვარი ატექტონიკური გაწონასწორებულია ცალკეულ სცენათა სიმწყობრითა და მკაფიოდ სიმუტრიული აგებულებით. ყოველი სცენა კომპოზიციური თვალსაზრისით არქაულია, რადგან ძველი ნიმუშების მსგავსად, თავის თაგში ჩაკეტილი და ცენტრალური დერძისკენაა ორიენტირებული. ეს კიღვე



5. უცნობი ეკლესიის მამა. სკლაბოპულას წმ. გიორგის ეკლესია. კრეტა. XII ს-ის მიწურული.

უფრო ამდაფრებს მოხატულობის „იკონურ“ ხასიათს, რომელიც, ძირითადად, წმინდანთა ხახევარფიგურების სიმრავლითაა გამოწვეული და კვლავ მათ სამონასტრო ხასიათზე მიუთითებს.

გ.წ. „სამონასტრო“ სტილი შიო-მღვიმეში ყველაზე მეტად ხახატის თავისებურებაშია გამოფლენილი. სწორედ ხახატი, ხაზია ფორმათა აღნიშნული „მოზღვუდულობისა“ და „არახსნილობის“, საერთოდ მხატვრობის სტილის, მისი ერთგვარი სქემატურობისა და ამავე დროს, დეკორატიულობის ძირითადი განმსაზღვრელი; ხაზის ფუნქცია აქ უკიდურესად დატვირთული და ტევადია.

სიტყვა „ხაზოვანება“, რითიც ზოგადად დახასიათებულია შიო-მღვიმის ფერწერა ქართული მხატვრობის ნებისმიერ ნიმუშს შეიძლება მიესადგოს, რადგან, როგორც ცნობილია, ხაზი ყოველთვის ძირითადი სახვითი ელემენტი იყო ქართულ ფერწერაში, ფორმადმქმნელი და დომინანტი, მაგრამ არა თვითმიზნად ქცეული და ზედმიწევნით სტილიზებული სახის, როგორც ეს შიომღვიმეშია. ხახატის განსაკუთრებული და ძალაზე ინდივიდუალურ-ემოციური „პორტრეტულობით“ გამოირჩევა. წმინდანთა ხახები ხან მკვეთრად კუთხოვან და ხანაც მკაფიოდ მომრგვალებულ-მორკალულ ხაზოვან ნაოჭებადა დაღარული. სახის მომწვანოებას ტრანსლობიდან (მაგ: წმ. პეტრე, წმ. იოანე ოქროპირი) [იღ. I,2] ამონათვებული გამოთვორებებიც ხშირად ფართო, მკაფიო ზოლების სახით, კონცენტრირებულად იდება შუბლზე, ცხვირთან, თვალების ქვემოთ, ყვრიმალებთან და ნიკაპთან. ეს გამოთვორებები კონტრასტულ, სქელ ხაზებად აღიქმება, რომლებიც მცირე ჩაკეტილ არებად ანაწევრებს, შლის სახის ზედაპირს და ზოგჯერ არაბუნებრივ, გადამეტებულ კუნთოვანებასა და ექსპრესიას სძენს სახებს ხაზგასმულად ასეპეტური და დაბაბულ-დაჭიმული, კონცენტრირებული გამომეტყველების შექმნის მიზნით. ამგვარად, სტილიზებული სახები, გარკვეულწილად, განეცნებულ-ამოვარდნილია ქართული ფერწერის ზოგადი ხასიათიდან და ძნელად თუ მოქმედია.

არაერთხელაა მოხსენიებული სახელოვნებათ-მცოდნეო ლიტერატურაში ე.წ. დინამიკური სტილის „ხაზოვან-ორნამენტულ“ გამოვლინებად. პლასტიკური სქემატიზმი, ხაზოვან-ლაქობრივი სტრუქტურა და ორნამენტულობა მართლაც გამოარჩევს შიო-მღვიმისეულ ხახატს, რომელიც ქართულ ტრადიციაში ზემო-ქრისისა და მაცხარიშის მხატვრული ტენდენციების გამგრძელებლადაა მიჩნეული. თუმცა ეს „ახალი“ ცხოველ-ხატული ეპოქის ნიმუში თავისი ექსპრესიულ-უტრირებული გამომსახველობით, რა თქმა უნდა, სრულიად განსხვავებულ საფეხურს წარმოადგენს როგორც ფორმისეული, ისე მსოფლმხედველობითი თვალსაზრისით.

ხახატის თავისებურება, მისი ორნამენტულობისაკენ მიღრეკილება ყველაზე უფრო ხახეთა წერის მანერაში ვლინდება. განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს მოციქულთა და ეკლესიის მამათა ხახეთა ტიპები საკურთხეველში, რომლებიც ყველაზე კარგადაა შემორჩენილი მთელ მხატვრობაში და მძაფრად ინდივიდუალურ-ემოციური „პორტრეტულობით“ გამოირჩევა. წმინდანთა ხახები ხან მკვეთრად კუთხოვან და ხანაც მკაფიოდ მომრგვალებულ-მორკალულ ხაზოვან ნაოჭებადა დაღარული. სახის მომწვანოებას ტრანსლობიდან (მაგ: წმ. პეტრე, წმ. იოანე ოქროპირი) [იღ. I,2] ამონათვებული გამოთვორებებიც ხშირად ფართო, მკაფიო ზოლების სახით, კონცენტრირებულად იდება შუბლზე, ცხვირთან, თვალების ქვემოთ, ყვრიმალებთან და ნიკაპთან. ეს გამოთვორებები კონტრასტულ, სქელ ხაზებად აღიქმება, რომლებიც მცირე ჩაკეტილ არებად ანაწევრებს, შლის სახის ზედაპირს და ზოგჯერ არაბუნებრივ, გადამეტებულ კუნთოვანებასა და ექსპრესიას სძენს სახებს ხაზგასმულად ასეპეტური და დაბაბულ-დაჭიმული, კონცენტრირებული გამომეტყველების შექმნის მიზნით. ამგვარად, სტილიზებული სახები, გარკვეულწილად, განეცნებულ-ამოვარდნილია ქართული ფერწერის ზოგადი ხასიათიდან და ძნელად თუ მოქმედია.



6. წმ. პეტრე და პავლე. ფრესკის ფრაგმენტი ვატოპედიის მონასტრის ბიბლიოთეკიდან. 1197-1198 წწ.

პოვება ახლო პარალელი, თუმცა, მისი წინათ-გრძნობა თანდილის, იყრარის, ნაკიფარის, მაც-ხვარიშის და ზემო-ქრისის კუთხოვანსა და ტე-ხილი ხაზების ექსპრესიაში იკითხება, იკვის, ბე-თანიისა და ტიმოთესუბნის ზოგიერთ სახესთან იჩენს მსგავსებას, მანც ამგვარი გაზვიადებული მანერულობა და უტრირებული ფსიქოლოგიზმი რამდენადმე უცხოა ქართული ნიმუშებისათვის და უფრო მეტად XII საუკუნის ბიზანტიური წრის მხატვრობათა იმ ჯგუფს ენათესავება, რო-მელშიც მკაფიოდაა გამოვლენილი ე.წ. ხაზოვა-ნი სტილიზაციის ხერხები.⁶ ესენია: სან პიეტრო „ალლ მარმი“ – აფსიდის ფრაგმენტები, ნერეზი, კასტორია, ძველი ლადოგა, მიროვი, ხერედიცა, არკაჟი, სკლაბოპულა კრეტაზე, ვატოპედის მო-ნასტრის ბიბლიოთეკიდან მოციქულთა სახეები და რაბდუხეული კაპელაში წმ. პავლეს სახე.

ლაზარევის აზრით, ამგვარი ხაზოვანი სტი-ლიზაცია უფრო ბიზანტიის იმპერიის პერიფერი-ებში გვხვდება: რუსეთში, კვიპროსზე, კრეტასა ან ათონის მთაზე. ყველა ეს ნიმუში ცხადყოფს გარევეულ მიღრეკილებას ხაზგასმულად სპი-რიტუალური სტილიზაციისაკენ, რაც ზოგჯერ უკიდურეს ფორმებს იდებს. სახის ზედაპირების დატეხილობა, „კუბისტური“ დაშლა და თითქმის გეომეტრიული დიფერენციაცია სახის დეფორმა-ციას იწვევს და გროტესკულობასა და ერთგვარ „სიმახინჯეშიც“ კი შეიძლება გადაიზარდოს [იდ. 3,4,5,6]. ამგვარ ბიზანტიურ ნიმუშებთან უშეალო შედარებისას შოთ-მდგიმის, ერთი შე-ხედვით, „პროვინციულად კომენჯური“ სახეები ეროვნული ინდივიდუალურობითა და სხვაობით გამოირჩევა, რაც უმთავრესად ლაქის თავისე-ბურ გააზრებაშია გამოვლენილი. მაგალითად, თუ არკაჟისა ან ვატოპედის სახეების შიდა ნა-ხატი უკიდურესად გართულებულია და ერ-თგვარ დამოუკიდებელ სისტემად აღიქმება ანუ ნაოჭების დარები თუ გამოხათებები ცალკეულ, ერთმანეთისაგან ჩაეტილ მონაკვეთებად შლის და მართლაც აბსტრაქციად აქცევს სახის ზედა-პირს, შოთ-მდგიმეში ლაქის მთლიანობის განცდა უფრო მეტადაა შენარჩუნებული. აქ ერთიანი ფორმაა დანაწევრებული და არა დამოუკიდებუ-ლი მონაკვეთებისგან შედგენილი, რაც ქართული ფერწერის სპეციფიკით – „ზომიერებისა და პარ-მონის განცდითაა“ განაპირობებული. როგორც ჩანს, შოთ-მდგმის სახეთა ფენომენი ზემო-ქრისი-სეული ნახატის, ეროვნული ხაზოვან-გრაფიკული მიმდინარეობის გაგრძელება უფროა,⁷ ვიდრე ტი-პური პოსტკომენჯური სტილის გამოხატულება. აქვე ჩნდება კითხვა, რამდენად განიცდის შოთ-მდგიმელი ოსტატი ბერძნულ ნიმუშთა გავლე-ნას? თუ, შესაძლოა, მართლმადიდებლური სამყა-როს სხვადასხვა კუთხეში, გარკვეული დროით თუ სხვა რამ მოვლენის გამო, დამოუკიდებლად



7. წმ. თომა. შოთ-მდგიმის „ჯვართამაღლების“ გადა-ხის მხატვრობა. XIII ს-ის შუა ხანა.

ჩნდება მსგავსი ხერხები და ფორმები? ეს მსოფ-ლებედველობითი საკითხია და შემდგომი კვლე-ვის საგანი უფროა, ერთი რამ კი უნდა აღინიშ-ნოს, რომ ბიზანტიაში კომენჯური მანიერიზმის წარმოქმნას მკვლევარი დროის მძიმე პოლიტი-კურ კრიზისსაც უკავშირებენ; იმპერიის დაცემა, კონსტანტინეპოლის აოხრება პირქუშ მელანქო-ლიად და მოუსევნიარ, ნერვულ იმპულსებად აი-სახება ხელოვნებაში. საქართველოში ამგვარი რამ ნაკლებადაა გამოხატული, თუმცა თამარ მე-ფის ბრწყინვალე ჰპოქის შემდგომი მონდოლო-ბის ხანა ერთგვარ დეკადანს აღნიშვნას ხე-ლოვნებაში და შოთ-მდგიმისეული მანერაც ზე-მო-ქრისის ნახატის უსაშველო განვითარება-დამცრობად გვეჩვენება. რადგან შუა საუკუნეების ხელოვნებისათვის ჩვეული ფორმის მთლია-ნობისა და მისი ხედვის ერთიანობის პრინციპს ეწინააღმდეგება და გარკვეული თვალსაზრისით, სტილის კულმინაციასა და კვდომას მოასწა-ვებს. ამგვარი ხაზოვანი სტილიზაციის ეფექტები XII საუკუნის ბოლოს ქრობას იწყებს და XIII საუკუნის დასაწევისის შემდგომ კი საერთოდ აღარ გვხვდება. შოთ-მდგიმის მხატვრობის დათა-რიდებისათვის მკვლევართა ერთ-ერთი ხელო-საჭიდი სწორებ ეს მოვლენა უნდა ყოფილიყო. როგორც ქართულ ტრადიციაში ხაზოვან-ორნა-მენჯული სტილის მოწიფებულ და ყველაზე გა-მოხატულ ნიმუშს, შოთ-მდგიმეს ზოგადად XII-

XIII საუკუნეთა მიჯნას უკავშირებენ. თუმცა თარიღი დაზუსტებას მოითხოვს და კონკრეტული კალეგის შედეგად შესაძლოა უფრო გვიანი ხანის ფარგლებში მოქმედოს.

ამისათვის უნდა გავითვალისწინოთ ზოგიერთი მეცნიერის განსხვავებული მოსაზრება, მაგალითად, ნ. ტოლმაჩევსკაია, ატენისა და ბელის ფრესკებთან ერთად, ადრეული ხანის ძეგლად მიიჩნევს მას და საგანგებოდ აღნიშნავს ამ მხატვრობის სიახლოებებს ბერძნულ ნიმუშებთან, ბიზანტიური სკოლის ძლიერ გავლენას. როგორც ჩანს, ის ბერძნულ ე.წ. „სამონასტრო“ სტოლის ძეგლებს ამსგავსებს მას, როგორიცაა ხოზის ლუკას კრიპტას ფრესკები, სალონიკის წ. სოფიას გუმბათის მოზაიკები, წმ. ნეოფოტიუსის მონასტერი კვიპროსზე, კორფუს ბაზილიკის ფრაგმენტები ან კიევის წმ. სოფიას მოზაიკები, რომელთა ხაზოვანებას მართლაც ემსგავსება შიო-მღვიმის სახეები. ბერძნული მხატვრობის სფეროში, როგორც ცნობილია, XI საუკუნიდან ორ ძირითად სტილს გამოყოფენ – უფრო „კლასიკურს“ ანუ ფერწერულს და „იერატიულ-ხაზოვანს“ – „ორიენტალისტურს“ – „სამონასტროს“, რომლის საწყისები, მკვდევართა აზრით, კაპადოკიურ მოხატულობებს უკავშირდება და კაპადოკიელი მოგზაური ბერების მიერ იქნა გავრცელებული ბიზანტიურ სამყაროში. ცნება „სამონასტრო“ ზოგჯერ მხოლოდ პირობითი დასახელებაა სტილის გარკვეული თავისებურების და იერ-სახის აღსანიშნვად და გაიგივებულია ხაზოვან-იერატიულ ეფექტებთან. „სამონასტრო“ სტილის ფრესკების შესახებ ცოცხალ შთაბეჭდილებას გვიქმნის ერთ-ერთი რუსი ბერი პილიგრიმის სიტყვები, რომელსაც 1735 წელს წმ. ნეოფოტიუსის მონასტერი მოუნახულებია კვიპროსზე. იგი წერს, რომ ეს მცირე ზომის ეკლესია (ენკლაუსტრას გულისხმობს) უცნაური, ეჭსტრატეგიული და საშიში ფრესკებითაა მოხატული და უმჭველად ყოველი დვოთხმოსავი პილიგრიმის ქმოციას გამოაღვიძებს. ⁸ ამ ეპიტეტებში ის, როგორც ჩანს, გამოსახულებათა ერთგვარ „სკულპტურულობას“ და ხაზოვან-ლაქმბრივი, კონტრასტული კონსტრუქციების ხარჯზე შექმნილ სახეთა გამომეტყველების სიმკაცრესა და ექსპრესიულობას, ხაზგასმულ ასკეტურობას გულისხმობს. მსგავსი სტილისტური ნიშნების გამო, მკვდევარი ნ. ტიერი „სამონასტრო“ ხელოვნების ნიმუშად მიიჩნევს შიო-მღვიმის ფრესკებსაც და მის წინა სახედ ამ სტილის ერთ-ერთ თვალსაჩინო ნიმუშს – „ხოზის ლუკას“ მხატვრობას თვლის. ⁹

შიო-მღვიმის მხატვრობა, უმჭველია, მართლაც სამონასტრო ხელოვნებას უკავშირდება, მაგრამ არა იმიტომ, რომ მხოლოდ ადრეული, ე.წ. „სამონასტრო“ სტილის გვიან ინტერეტაცია-გადამ-

ღერებად აღიქმება ქართულ ტრადიციაში, არა-მედ უმთავრესად მისთვის დამახასიათებელი ინდივიდუალური ნიშნების გამო, იქნება ეს მოხატულობის იკონოგრაფიული პროგრამის სახე, კოლორიტი თუ ფორმათშეგრძნება.

როგორც ჩანს, შიო-მღვიმელი მხატვარი კარგად განსწავლული თეოლოგი, მოგზაური ბერია, რომელიც იცნობს სამონასტრო სკოლის მხატვრობებს, ალბათ, უნახავს ბიზანტიური კომნენტარი ნიმუშები და კარგადაც შეუსწავლია მათი ფერწერული ხერხების ეს თუ ის მეოთხი. მის ერთგვარ გამოცდილებასა და ნასწავლობაზე მეტყველებს თავის დროში არსებული იკონოგრაფიული თუ კომპოზიციური „კლიშეებისადმი“, ერთგულება და ზოგჯერ ზედმიწევნითი სიზუსტეც კი ანუ ნიმუშებით გარკვეული შებოჭილობა. ამავე დროს, ის დახელოვნებული ოსტატია და უეჭველია ყინწვისისეულ „არისტოკრატულ“ ფერწერულ მანერასაც იცნობს. ამაზე მიანიშნებს ის, რომ მოციქულთა სახეებს შორის უფრო ფერწერულად დაწერილი „პორტრეტებიც“ გახვდება, რაც ამ მცირე ძეგლშიც კი სტილთა განსხვავებული საწყისების თანაარსებობაზე მეტყველებს. უფრო პლასტიკურია მაგალითად, წმ. ლუკა, რომლის სახე მკვრივ, მოცულობით ფორმადაა ნაძერწი, გამოთეთრებები და ჩრდილები აქ ისე კონტრასტული არაა, როგორც ხინიერი სახეების მაგალითზე. კიდევ უფრო რბილი და ნაძერწია თომასა (იღ. 7) და ფილიპეს სახეები, რომელთა ზედაპირზე გამოთეთრებები ერთგვაროვან ლაქებად იდება და ტონალური გრადაციებიც უფრო თანაბარია. თუმცა, ამავე დროს, იგივე ყინწვისისაგან განსხვავებით, ამ სახეებს უკვე პალეოლითოსური სიმძიმე და სიმსუქ, ფორმის „დახმულობა“ დაკვრავს. ამგვარი პლასტიკური ეფექტები მხოლოდ აქა-იქ თუ გამოიყნება, როგორც აღვნიშნეთ, მხატვარი თითქოს საგანგებოდ უარყოფს მის დროში უკვე კარგად ცნობილ „ილუსიონისტურ“ და არტისტულად ნატიფი სახეითი ელემენტების ფართოდ გამოყნებას, რაც შესაძლოა, თამარის ეპოქის მეტად საზეიმო, საერო ტენდენციების საწინააღმდეგო რეაქციაც იყოს, თუმცა, მეორე მხრივ, მის შემოქმედებას სწორედ ერთგვარი საერო და კამერული ელფერი დაკვრავს, რასაც ნახატის კალიგრაფიულობა, ორნამენტებისა და მათი ვარიაციების სიუხვე და სიჭრელე, საერთო დეკორატიულობა და სახეების მძაფრი პორტრეტულობა განაპირობებს. თხებატის სურვილი უკიდურესი სულიერების, ასკეტური ექსპრესიის გამოხატვისა თითქოს თვითმიზნად იქცევა და მხატვრულ სახეთა ზედმიწევნით უტრიოება-სტილიზაციას იწვევს, ანუ მოციქულთა და ეკლესიის მამათა სახეების ასკეტური, ზოგჯერ მრისხანედ დამაბული გამომეტყველება ფსიქოლოგიზმსა და მძაფრ

გრძნობისმიერობაში გადადის. ნახატის ექსპრესია და ფორმათა დაწვრილმანება-დიფერენციაცია იმგვარ ორნამენტულ გამომსახველობას აღწევს, რომელიც პირობითად XIII საუკუნის ქართული მხატვრობის „როკოკო“ ან „მანიერიზმად“ შეიძლება მოვისეენიოთ. ამავე დროს, ცხადია, რომ შოთ-მდვიმის მხატვრობა მონასტრული ხელოვნებაა, რომელიც სახვით ფორმათა მოკრძალებულობისა და თავშეკავებისკენაა მიღრუკილი.

ორმაგობის ეს განცდა, ერთგვარი დაპირისპირება საერთო და სასულიერო საწყისებს, ეპოქასა და მხატვარს შორის, ქართული ფერწერის

განვითარებაში გარკვეულ საკანძო ეტაპს, ერთგვარ დეკადანს აღნიშნავს და იმ რთული ფორმალური თუ მსოფლმხედველობითი ცვლილებების მაუწყებელია, რომელიც მომდევნო, ახალმა, პალეოლითური ხანამ მოიტანა შუა საუკუნეების ხელოვნებაში. შოთ-მდვიმის მხატვრობა მართლაც პალეოლითური ხელოვნების გარკვეულ წინათგრძნობად, სტილისტურ მიჯნად აღიქმება და, როგორც ჩანს, მისი თარიღიც უფრო მოგვიანო ხანას, თუნდაც XIII საუკუნის შუა ხანებს უნდა დაუკავშირდეს და არა XII-XIII საუკუნეთა მიჯნას, როგორც ამჟამად მიღებულია სამეცნიერო ლიტერატურაში.

შენიშვნები:

1. Schulz, Mans-Joachim, Die Byzantinische Liturgie, Trier, 2000, გვ: 120
2. M. Belting, Bild und Kult, München, 2000, გვ: 197
3. ეს საკითხიც უფრო ზუსტი დათარიღებისათვის შეიძლება გარკვეული ხელმოსაჭიდი იქოს – დეპორისა და აედლის დამოკიდებულება ყინწვისში, როგორც უფრო ადრეულსა და შოთ-მდვიმეში, როგორც მის, დროით მომდევნო ეტაპზე.
4. ამას გვიჩვნებს „ხატისებური“ ფიგურების კომბინაცია სივრცეში: სამხრეთ კედელზე გამოსახული სამი წმინდანის ნახევარფიგურა საკურთხევლის მოციქულთა რიგის გაგრძელება-გადანაკეცად აღიქმება. საერთოდ, სამხრეთის კედლის ეს ნაწილი სავარაუდო ქტიორის გამოსახულებით, აზრობრივად საკურთხევლის მხატვრობას უნდა ეკუთვნოდეს. საკურთხევლის ჭადრაკისებური ორნამენტის ზოლიც სამხრეთის კედელზე გადმოდის და სანახევროდ მიუყვება სიგრძივ კედელს. ასევე დასავლეთის კედელზე წმ. გიორგის და წმ. თევდორეს ფიგურებს ჩრდილოეთის კედელზე მეორე იდენტური ფიგურა აგრძელებს ანუ რეგისტრები კედლის ერთი სიბრტყიდან მეორეზე განფენილი.
5. მაგ., ისეთი ცდომილება, როგორიცაა დასავლეთის კედლის ლუნებში „ფერისცვალების“ სცენის „ვერ მოხდენა“ სასურათე არისათვის, მისი „მიტეჭება“ აუთხეში.
6. Н. В. Лазарев, Византийская Живопись, Москва, 1971. გვ. 147
7. Е.Привалова. Некоторые особенности грузинских росписей рубежа XII-XIII веков; Ars Georgica, სერია A, N10, გვ. 152
8. Andreas Stylianou and Judith A. Stylianou; “The painted Churches of Cyprus - Treasures of Byzantine Art” London; 1999, გვ. 368
9. N.Thierry, La peinture médiévale géorgienne: 1973, გვ. 418-419

Tsisia Kiladze

Tbilisi State Academy of Arts

THE STYLISTIC PECULIARITIES OF THE WALL PAINTINGS OF SHIO-MGVIME (Church of Ascension of the Cross)

As it is known, in the beginning of the 13-th century in the Medieval Art were created new themes and psychological and emotional aspects became more strong.

Typical for early and high Medieval principles of monumentalism and united vision of forms are changing in this century by different points of view and “baroque-ness”, which are expressed not only in the completeness of theological or thematic aspects, but as well in multiformity of styles and forms.

These intrinsic and formal changes already in the middle of 13-th century have gained the developed character indicated just by wall paintings of Shio-mgvime Church of Ascension.

These murals present the monastic paintings – the icon images with restrained colour and ornamental graphic pattern, but in the same time with temporal nuance, diminutiveness and decor, intensified by efficient portretism of the types.

The style of paintings can be conditionally named as “Georgian Medieval mannerism”. It has a bifurcated character with some touch of decadence and presages the further paleological style of approaching epoch. That's why the dating of these paintings must be carried over to the middle of the 13-th century, but not earlier as it was accepted in some comments in the art literature.